საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 557 2019 წლის 15 მარტი ქ. თბილისი

სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ

1. „სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 8 თებერვლის №50 დადგენილების საფუძველზე და „საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 იანვრის №44 დადგენილებით შექმნილი სამთავრობო კომისიის 2019 წლის 28 თებერვალსა და 15 მარტს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოუყოს 1 284 444 (ერთი მილიონ ორას ოთხმოცდაოთხი ათას ოთხას ორმოცდაოთხი) ლარი, მათ შორის:

1.1. ხაშურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 474 046 (ოთხას სამოცდათოთხმეტი ათას ორმოცდაექვსი) ლარისა, დანართ №1-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 190 000 (ას ოთხმოცდაათი ათასი) ლარისა, დანართ №2-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.3. სამტრედიის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 437 000 (ოთხას ოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარისა, დანართ №3-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.4. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 183 398 (ას ოთხმოცდასამი ათას სამას ოთხმოცდათვრამეტი) ლარისა, დანართ №4-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ამ განკარგულების საფუძველზე თანხების გადარიცხვა განახორციელოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**

დანართი N1

ხაშურის მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	ქალაქ ხაშურში მდინარე სურამულას ნაპირსამაგრი კედლების გამაგრება-რეაბილიტაცია	498 996.0	474 046.0
	სულ ჯამი	**498 996.0**	**474 046.0**

დანართი N2

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	რუსთაველის ქუჩაზე ახალი სანიაღვრე არხის მოწყობა	125 500.0	122 432.0
2	თბილისის,დუმბაძის, კალანდაძის, ყოფილი N2 ჩაის ფაბრიკის მიმდებარედ ქუჩაზე , დოლიძის ,ფიროსმანის და მარის ქუჩის მიმდებარედ ახალი სანიაღვრე არხის მოწყობა	70 636.0	67 568.0
სულ ჯამი		**196 136.0**	**190 000.0**

დანართი N3

სამტრედიის მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	თამარ მეფის ქუჩიდან ავტო სადგურის მიმართულებით დახურული სანიაღვრე არხის გაწმენდა ნატანისაგან	150 000.0	142 500.0
2	ქ. სამტრედიაში მდ. ჭურთავას კალაპოტის გაწმენდა ნატანის, ეკალ-ბარდებისა და ხე-მცენარეებისაგან	100 000.0	95 000.0
3	გომის ადმ. ერთეულში რუსიების უბანში ხევის გაწმენდა ნაშალი მთის ქანებისაგან და დამცავი გაბიონების მოწყობა	80 000.0	76 000.0
4	გომიდს ადმ. ერთეულში მდ. ყუმურის გასწვრივ სანიაღვრე არხის გაწმენდა ნაშალი მთის ქანებისაგან	80 000.0	76 000.0
5	ქ. სამტრედიაში მდ. ლოღობას კალაპოტის გაწმენდა ნატანის, ეკალ-ბარდებისა და ხე-მცენარეებისაგან	50 000.0	47 500.0
	სულ ჯამი	**460 000.0**	**437 000.0**

დანართი N4

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	სოფ. ბაისუბანში მდ. ბაისუბნის ხევზე გაბიონის მოწყობა	117 019.0	111 168.0
2	სოფ. ჭაბუკიანიდან ქვ. ნაშოვარში გადასასვლელ გზაზე ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობა	76 032.0	72 230.0
	სულ ჯამი	**193 051.0**	**183 398.0**